დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 27 აგვისტო**

დისციპლინური საქმე №111/24
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2024 წლის 1 აგვისტოს №111 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2024 წლის 1 აგვისტოს №-- -- წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- იხილავს სხვა უწყების -- სააპელაციო სასამართლოს განსახილველ სააპელაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო საჩივარს პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში აქვს წარწერა - -- სააქელაციო სასამართლო.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოს 2024 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი -- -- მიმართ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელე მხარემ.

-- -- სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 2 ივლისის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსხილველად.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

კონკრეტულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- იხილავს სხვა უწყების - -- სააქელაციო სასამართლოს განსახილველ სააპელაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო საჩივარს პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში აქვს წარწერა - -- სააქელაციო სასამართლო.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის მოთხოვნებს, შესაბამისად მიღებულ იქნა განსახილველად. საჩივრის ავტორის მითითება, რომ -- სააპელაციო საჩივრის მაგივრად მითითებულია -- სააქელაციო სასამართლო არის ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელიც სასამართლოს მიერ ვერ გახდებოდა საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

ამასთან, საქმის დეტალური შესწავლის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და კონკრეტული საკითხების/ფაქტობრივი გარემოებების

შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

შეწყდეს -- -- 2024 წლის 1 აგვისტოს №111 საჩივრის საფუძველზე არსებული დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი